

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

თბილისი
2026

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

I. სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.

პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიის გამოყენებით:

მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობის განმავლობაში, სწავლების საფეხურის შესაბამისად. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, თითოეული სავალდებულო კურსისათვის აკადემიური მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80%-თან მიმართებით დგინდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა, იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც ბმა აქვთ შესაბამის შედეგთან.. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე არ არის ნაკლები 80%-ზე. განსხვავებული სამიზნე ნიშნულები შესაძლებელია დადგინდეს კონკრეტულ პროგრამასთან მიმართებით. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პროცესი ეფუძნება თითოეულ სასწავლო კურსში შესაბამის შედეგზე დაკვირვებას, განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ქვიზით, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, პრეზენტაციით, დასკვნითი გამოცდით და სხვა. დგინდება პროგრამის სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა შესაფასებელი კომპონენტების და პერიოდის მითითებით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია:

- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით;

- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით).

აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები. შედეგების ანალიზი წარმოდგენილია დანართი 1-ის შესაბამისად.

II. პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები

A.1. განმარტავს სამართლის სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, წყაროებსა და დარგებს, მათ შორის საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ თეორიებსა და რეგულირების თავისებურებებს, და კრიტიკულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და როლს სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში.

მიღწევის ინდიკატორები სასწავლო კურსების მითითებით

1. განმარტავს სამართლის სისტემის ძირითად ელემენტებს, სამართლის წყაროებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლის ნორმის სტრუქტურასა და მოქმედებას და აღწერს ქართული სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს.
(შესავალი სამართალმცოდნეობაში; ქართული სამართლის ისტორია)
2. განმარტავს საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის, საჯარო მმართველობისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.
(საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი)
3. განმარტავს კერძო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, კერძოსამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების საფუძვლებსა და მათი მატერიალური და საპროცესო დაცვის თავისებურებებს.
(შესავალი სამოქალაქო სამართალში; სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სახელმეკრულებო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სამოქალაქო სამართლის პროცესი I; სამოქალაქო სამართლის პროცესი II; საკორპორაციო სამართალი; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი; შრომის სამართალი)
4. განმარტავს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დანაშაულის ცალკეული სახეების რეგულირებისა და სისხლის სამართალწარმოების თავისებურებებს. (სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართალი — დანაშაულის სხვა სახეები; სისხლის სამართლის პროცესი I; სისხლის სამართლის პროცესი II)

5. განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ძირითად წყაროებს, პრინციპებს, სუბიექტებსა და ინსტიტუტებს და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების მოქმედების თავისებურებებს.
(საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)
6. განასხვავებს საჯარო, კერძო, სისხლისა და საერთაშორისო სამართლის რეგულირების საგანს, მეთოდებსა და სამართლებრივ შედეგებს და კრიტიკულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და როლს სამართლებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფაში.
(შესავალი სამართალმცოდნეობაში; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; სამოქალაქო სამართლის პროცესი II; შრომის სამართალი; სისხლის სამართლის პროცესი II; საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)

ინდიკატორების შეფასების რუბრიკა

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები			
	არადამაკმაყოფილებელი (0-50 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (51-70 ¹ ქულა)	კარგი (71-90 ქულა)	სრულყოფილი (91-100 ქულა)
1. განმარტავს სამართლის სისტემის ძირითად ელემენტებს, წყაროებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლის ნორმის სტრუქტურასა და მოქმედებას და აღწერს ქართული სამართლის განვითარების ძირითად ეტაპებს.	ვერ განმარტავს სამართლის სისტემის ძირითად ელემენტებს, წყაროებსა და პრინციპებს; ვერ აღწერს სამართლის ნორმის სტრუქტურასა და ქართული სამართლის განვითარების ძირითად ეტაპებს ან უშვებს არსებით შეცდომებს.	განმარტავს სამართლის სისტემის ცალკეულ ელემენტებს, წყაროებსა და პრინციპებს და აღწერს ქართული სამართლის განვითარების ზოგიერთ ეტაპს, თუმცა ცოდნა არასრულია და შეიცავს არსებით უზუსტობებს.	განმარტავს სამართლის სისტემის ძირითად ელემენტებს, წყაროებს, პრინციპებსა და სამართლის ნორმის მოქმედებას და ძირითადად სწორად აღწერს ქართული სამართლის განვითარების ეტაპებს.	სრულად, სისტემურად და ზუსტად განმარტავს სამართლის სისტემის ელემენტებს, წყაროებს, პრინციპებსა და სამართლის ნორმის მოქმედებას და სიღრმისეულად აღწერს ქართული სამართლის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებებს.
2. განმარტავს საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებსა და	ვერ განმარტავს საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებსა და	განმარტავს საჯარო სამართლის ცალკეულ პრინციპებსა და	სწორად განმარტავს საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებსა და	სრულად და სისტემურად განმარტავს საჯარო სამართლის პრინციპებსა და

¹ მხედველობაში მიიღება შესაბამისი სასწავლო კურსის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ინსტიტუტებს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის, საჯარო მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.	ინსტიტუტებს ან არსებითად მცდარად აღწერს სახელმწიფო ხელისუფლების, საჯარო მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძვლებს.	ინსტიტუტებს, თუმცა ცოდნა ფრაგმენტულია და მათი ურთიერთმიმართება არასრულად აქვს გააზრებული.	და ინსტიტუტებს და თანმიმდევრულად აღწერს სახელმწიფო ხელისუფლების, საჯარო მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს.	და ინსტიტუტებს და სიღრმისეულად აფასებს სახელმწიფო ხელისუფლების, საჯარო მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივ ურთიერთმიმართებას.
3. განმარტავს კერძო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მოთხოვნების საფუძვლებსა და მათი მატერიალური და საპროცესო დაცვის თავისებურებებს.	ვერ განმარტავს კერძო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მოთხოვნების საფუძვლებსა და მათი დაცვის სამართლებრივ საშუალებებს ან უშვებს არსებით შეცდომებს.	განმარტავს კერძო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებსა და მოთხოვნის საფუძვლებს, თუმცა ცოდნა არასისტემურია და მატერიალური და საპროცესო დაცვის ურთიერთმიმართებას სრულად ვერ ასახავს.	სწორად განმარტავს კერძო სამართლის ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებსა და მოთხოვნის საფუძვლებს და ძირითადად სწორად აღწერს მათი მატერიალური და საპროცესო დაცვის თავისებურებებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს კერძო სამართლის პრინციპებს, ინსტიტუტებსა და მოთხოვნების საფუძვლებს და სიღრმისეულად აფასებს მატერიალური და საპროცესო დაცვის საშუალებების ურთიერთმიმართებას.
4. განმარტავს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და სისხლის სამართალწარმოების თავისებურებებს.	ვერ განმარტავს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს ან არსებითად მცდარად აღწერს პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების საფუძვლებს.	განმარტავს სისხლის სამართლისა და პროცესის ცალკეულ პრინციპებსა და ინსტიტუტებს, თუმცა ცოდნა არასრულია და მატერიალური და საპროცესო რეგულირების ურთიერთმიმართებას სრულად ვერ ასახავს.	სწორად განმარტავს სისხლის სამართლისა და პროცესის ძირითად პრინციპებსა და ინსტიტუტებს, პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და სამართალწარმოების ძირითად თავისებურებებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს სისხლის სამართლისა და პროცესის პრინციპებსა და ინსტიტუტებს და სიღრმისეულად აფასებს მატერიალური და საპროცესო რეგულირების ურთიერთმიმართებას.
5. განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ძირითად წყაროებს, პრინციპებს, სუბიექტებსა და ინსტიტუტებს და ადამიანის უფლებათა	ვერ განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ძირითად წყაროებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს ან არსებითად მცდარად	განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ცალკეულ წყაროებსა და ინსტიტუტებს, თუმცა ცოდნა არასრულია და მათი მოქმედების	სწორად განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ძირითად წყაროებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს და ადამიანის უფლებათა	სრულად და სისტემურად განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის წყაროებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს და სიღრმისეულად აფასებს ადამიანის უფლებათა

დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მოქმედებას.	აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს.	თავისებურებებს ზედაპირულად ასახავს.	დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მოქმედების ძირითად თავისებურებებს.	დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მოქმედებასა და მნიშვნელობას.
6. განასხვავებს სამართლის ძირითად დარგებს და კრიტიკულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და როლს სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბებაში.	ვერ განასხვავებს სამართლის ძირითად დარგებს მათი რეგულირების საგნისა და მეთოდის მიხედვით და ვერ აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და სამართლებრივ მნიშვნელობას.	ნაწილობრივ განასხვავებს სამართლის ძირითად დარგებს, თუმცა შედარება ზედაპირულია, ურთიერთმიმართების შეფასება არასრულია და დასკვნები სათანადოდ არ არის დასაბუთებული.	სწორად განასხვავებს სამართლის ძირითად დარგებს, აანალიზებს მათ ძირითად ურთიერთმიმართებებს და დასაბუთებულად აფასებს მათ როლს სამართლებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფაში.	კომპლექსურად და კრიტიკულად განასხვავებს სამართლის ძირითად დარგებს, სიღრმისეულად აფასებს მათ ურთიერთმიმართებასა და გავლენას სამართლებრივ წესრიგზე და აყალიბებს სრულად დასაბუთებულ სისტემურ ხედვას.

A.2. აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და მექანიზმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის თავისებურებებს, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს.

მიღწევის ინდიკატორები სასწავლო კურსების მითითებით:

1. აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებას, ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის განვითარების ძირითად ეტაპებს და დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს. (შესავალი სამართალმცოდნეობაში; ქართული სამართლის ისტორია; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი)
2. აღწერს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და მექანიზმებს და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციურ სტატუსსა და უფლებამოსილებებს. (საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება)
3. განმარტავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსა და ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების, ადმინისტრაციული აქტის, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, ადმინისტრაციული საჩივრისა და

ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს. (ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი)

4. აღწერს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცულ სფეროს, უფლებაში ჩარევისა და უფლების შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს, პროპორციულობის პრინციპსა და უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებს. (საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება)
5. აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპულ სამართლებრივ სტანდარტებსა და მექანიზმებს და განმარტავს მათ ურთიერთმიმართებას ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემასთან. (საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)
6. განმარტავს სისხლის სამართალწარმოების პროცესში საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს, პირის უფლებაში ჩარევის საფუძვლებსა და პროცესუალურ გარანტიებს, მათ შორის დაკავების, აღკვეთის ღონისძიების, მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ წესებს. (სისხლის სამართლის პროცესი I; სისხლის სამართლის პროცესი II)

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები			
	არადამაკმაყოფილებელი (0-50 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (51-70 ქულა)	კარგი (71-90 ქულა)	სრულყოფილი (91-100 ქულა)
1.აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებას, სახელმწიფოებრივი მოწყობის განვითარების ძირითად ეტაპებს და სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს.	ვერს აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებას, სახელმწიფოებრივი მოწყობის განვითარების ეტაპებსა და სახელმწიფოს ძირითად კონსტიტუციურ პრინციპებს ან უშვებს არსებით შეცდომებს.	აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ცალკეულ საკითხებს, თუმცა ცოდნა არასრულია და კონსტიტუციური პრინციპები ზედაპირულად აქვს გააზრებული.	სწორად და თანმიმდევრულად აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებას, სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად ეტაპებსა და დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს.	სრულად და სისტემურად აღწერს სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთმიმართებას, სახელმწიფოებრივი მოწყობის განვითარებას და სიღრმისეულად განმარტავს სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მნიშვნელობას
2. აღწერს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს,	ვერს აღწერს ხელისუფლების	ნაწილობრივ აღწერს ხელისუფლების	სწორად აღწერს ხელისუფლების	სრულად და სისტემურად აღწერს ხელისუფლების

საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებს.	დანაწილების პრინციპს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და სახელმწიფო ორგანოების ძირითად უფლებამოსილებებს ან უშვებს არსებით შეცდომებს.	დანაწილებასა და სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებებს, თუმცა მათი ფუნქციები და ურთიერთმიმართება არასრულად აქვს გააზრებული.	დანაწილების პრინციპს, საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და ძირითადი სახელმწიფო ორგანოების სტატუსსა და უფლებამოსილებებს.	დანაწილების მექანიზმს, სახელმწიფო ორგანოების სტატუსსა და უფლებამოსილებებს და სიღრმისეულად განმარტავს მათ შორის შეკავებისა და გაწონასწორების ურთიერთმიმართებას.
3. განმარტავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსა და ფორმებს და ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების თავისებურებებს.	ვერ განმარტავს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსა და ფორმებს ან არსებითად მცდარად აღწერს ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების ძირითად ინსტიტუტებს.	განმარტავს ადმინისტრაციული საქმიანობის ცალკეულ ფორმებსა და ინსტიტუტებს, თუმცა ცოდნა ფრაგმენტულია და ადმინისტრაციული წარმოებისა და სასამართლო კონტროლის ურთიერთმიმართებას სრულად ვერ ასახავს.	სწორად განმარტავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსა და ფორმებს ადმინისტრაციული წარმოების, საჩივრისა და სამართალწარმოების ძირითად თავისებურებებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს ადმინისტრაციული საქმიანობის ფორმებსა და მექანიზმებს და სიღრმისეულად აფასებს ადმინისტრაციული წარმოების, ადმინისტრაციული საჩივრისა და სასამართლო კონტროლის ურთიერთმიმართებას.
4. აღწერს ადამიანის უფლებების დაცულ სფეროს, უფლებაში ჩარევისა და შეზღუდვის საფუძვლებს, პროპორციულობის პრინციპსა და დაცვის ეროვნულ მექანიზმებს.	ვერ აღწერს ადამიანის უფლებების დაცულ სფეროს, უფლებაში ჩარევისა და შეზღუდვის საფუძვლებს ან არსებითად მცდარად განმარტავს უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებს.	ნაწილობრივ აღწერს ადამიანის უფლებების დაცულ სფეროსა და შეზღუდვის საფუძვლებს, თუმცა უჭირს ჩარევის გამართლების ეტაპებისა და პროპორციულობის პრინციპის განმარტება.	სწორად აღწერს ადამიანის უფლებების დაცულ სფეროს, ჩარევისა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს, პროპორციულობის პრინციპსა და დაცვის ეროვნულ მექანიზმებს.	სრულად და სისტემურად აღწერს ადამიანის უფლებების დაცვისა და შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლებს და სიღრმისეულად განმარტავს პროპორციულობის პრინციპისა და დაცვის ეროვნული მექანიზმების მნიშვნელობას

5. აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და მექანიზმებს და მათ მიმართებას ეროვნულ სისტემასთან.	ვერ აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და მექანიზმებს ან მცდარად განმარტავს მათ ურთიერთმიმართებას ეროვნულ სამართალთან.	აღწერს ცალკეულ საერთაშორისო და ევროპულ მექანიზმებს, თუმცა ცოდნა არასრულია და მათ მიმართებას ეროვნულ სისტემასთან ზედაპირულად ასახავს.	სწორად აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და მექანიზმებს და განმარტავს მათ ურთიერთმიმართებას ეროვნულ სისტემასთან.	სრულად და სისტემურად აღწერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებსა და მექანიზმებს და სიღრმისეულად აფასებს მათ გავლენას ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემაზე.
6. განმარტავს სისხლის სამართალწარმოებისას საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს, უფლებაში ჩარევის საფუძვლებსა და პროცესუალურ გარანტიებს.	ვერ განმარტავს სისხლის სამართალწარმოებისას საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს, უფლებაში ჩარევის საფუძვლებსა და ძირითად პროცესუალურ გარანტიებს ან უშვებს არსებით შეცდომებს.	განმარტავს სისხლის სამართალწარმოების ცალკეულ ღონისძიებებსა და გარანტიებს, თუმცა ცოდნა არასრულია და პირის უფლებების შეზღუდვის საფუძვლებსა და პროცედურებს შორის კავშირს სრულად ვერ ასახავს.	სწორად განმარტავს დაკავების, აღკვეთის ღონისძიების, მტკიცებულებების მოპოვებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ საფუძვლებსა და შესაბამის პროცესუალურ გარანტიებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს სისხლის სამართალწარმოებისას საჯარო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს და სიღრმისეულად აფასებს უფლებაში ჩარევის კანონიერების, პროპორციულობისა და პროცესუალური გარანტიების ურთიერთმიმართებას.

A.3. განმარტავს სამართლის ნორმის გამოყენების მექანიზმებს, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების ლოგიკას, სამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებსა და მათი სამართლებრივი გზით გადაწყვეტის ძირითად პრინციპებს.

მიღწევის ინდიკატორები სასწავლო კურსების მითითებით

1. განმარტავს სამართლის ნორმის მოძიების, განმარტებისა და გამოყენების ძირითად ეტაპებს, ნორმატიული აქტების იერარქიასა და სამართლის ნორმის დროში, სივრცესა და პირთა მიმართ მოქმედების მექანიზმებს. (შესავალი სამართალმცოდნეობაში; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი)
2. განმარტავს საჯარო სამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლებს, ადამიანის უფლებაში ჩარევის კანონიერების შემოწმების ეტაპებს და ადმინისტრაციული და კონსტიტუციური დავების გადაწყვეტის ძირითად

მექანიზმებს. (ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება; ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი)

- განმარტავს კერძოსამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების ლოგიკას, მოთხოვნის წარმოშობის, განხორციელებისა და შეწყვეტის წინაპირობებს და კერძოსამართლებრივი დავების მატერიალური და საპროცესო გზით გადაწყვეტის ძირითად პრინციპებს.

(შესავალი სამოქალაქო სამართალში; სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სახელშეკრულებო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სამოქალაქო სამართლის პროცესი I; სამოქალაქო სამართლის პროცესი II; საკორპორაციო სამართალი; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი; შრომის სამართალი; კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი)

- განმარტავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და სისხლისსამართლებრივი კონფლიქტების მატერიალური და საპროცესო გზით გადაწყვეტის მექანიზმებს.

(სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართალი — დანაშაულის სხვა სახეები; სისხლის სამართლის პროცესი I; სისხლის სამართლის პროცესი II; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი)

- განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების გამოყენების თავისებურებებს, საერთაშორისო სამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლებსა და მათი გადაწყვეტის ინსტიტუციურ და სამართლებრივ მექანიზმებს.

(საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)

- განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების ძირითად სახეებს და ადარებს მათი გადაწყვეტის სასამართლო, ადმინისტრაციულ, კონსტიტუციურ, საერთაშორისო და სხვა სამართლებრივ მექანიზმებს. (საკონსტიტუციო მართლმსაჯულება; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; სამოქალაქო სამართლის პროცესი II; სისხლის სამართლის პროცესი II; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები; საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი)

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები			
	არადაამაკმაყოფილებელი (0-50 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (51-70 ქულა)	კარგი (71-90 ქულა)	სრულყოფილი (91-100 ქულა)
1. განმარტავს სამართლის ნორმის მოძიების, ვერ განმარტავს სამართლის ნორმის	განმარტავს სამართლის ნორმის	განმარტავს სამართლის გამოყენების	სწორად განმარტავს სამართლის ნორმის	სრულად და სისტემურად განმარტავს სამართლის

განმარტებისა და გამოყენების ეტაპებს, ნორმატიული აქტების იერარქიასა და ნორმის მოქმედების მექანიზმებს	მომიების, განმარტებისა და გამოყენების ძირითად ეტაპებს ან არსებით შეცდომებს უშვებს ნორმათა იერარქიისა და მოქმედების ფარგლების აღწერისას.	ცალკეულ ეტაპებს, თუმცა ცოდნა არასრულია და უჭირს ნორმათა იერარქიისა და მოქმედების ფარგლების თანმიმდევრულად აღწერას.	მომიების, განმარტებისა და გამოყენების ძირითად ეტაპებს, ნორმატიული აქტების იერარქიასა და ნორმის მოქმედების ფარგლებს.	ნორმის გამოყენების მექანიზმს, სწორად აკავშირებს ნორმათა იერარქიას, განმარტების მეთოდებსა და ნორმის დროში, სივრცესა და პირთა მიმართ მოქმედებას.
2. განმარტავს საჯაროსამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლებსა და ადმინისტრაციული და კონსტიტუციური დავების გადაწყვეტის მექანიზმებს.	ვერ განმარტავს საჯაროსამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლებს, ადამიანის უფლებაში ჩარევის შემოწმების ეტაპებსა და დავის გადაწყვეტის მექანიზმებს.	ნაწილობრივ განმარტავს საჯაროსამართლებრივი კონფლიქტის საფუძვლებსა და გადაწყვეტის ცალკეულ მექანიზმებს, თუმცა მსჯელობა არასრულია და შეიცავს არსებით უზუსტობებს.	სწორად განმარტავს საჯაროსამართლებრივი კონფლიქტების საფუძვლებს, ადამიანის უფლებაში ჩარევის შემოწმების ეტაპებსა და ადმინისტრაციული და კონსტიტუციური დავების გადაწყვეტის ძირითად მექანიზმებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს საჯაროსამართლებრივი კონფლიქტების წარმოშობას და სიღრმისეულად აფასებს ადმინისტრაციული წარმოების, სასამართლო კონტროლისა და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ურთიერთმიმართებას.
3. განმარტავს კერძოსამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების ლოგიკასა და კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის პრინციპებს.	ვერ განმარტავს კერძოსამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების ლოგიკას, მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებსა და დავის გადაწყვეტის ძირითად გზებს.	განმარტავს მოთხოვნის საფუძვლის ცალკეულ ელემენტებს, თუმცა ვერ აყალიბებს შემოწმების თანმიმდევრულ სქემას და არასრულად აღწერს მატერიალური და საპროცესო დაცვის საშუალებებს.	სწორად განმარტავს მოთხოვნის საფუძვლის შემოწმების ლოგიკას, მოთხოვნის წარმოშობის, განხორციელებისა და შეწყვეტის ძირითად წინაპირობებს და დავის გადაწყვეტის სამართლებრივ გზებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს კერძოსამართლებრივი მოთხოვნის შემოწმების ეტაპებს და სიღრმისეულად აფასებს მატერიალური მოთხოვნისა და მისი საპროცესო დაცვის საშუალებების ურთიერთმიმართებას.
4. განმარტავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის, სისხლისსამართლებრივი	ვერ განმარტავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის	განმარტავს დანაშაულის კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ცალკეულ ელემენტებს,	სწორად განმარტავს ქმედების კვალიფიკაციის, სისხლისსამართლებრივ	სრულად და სისტემურად განმარტავს სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოყენების

პასუხისმგებლობისა და სისხლისსამართლებრივი კონფლიქტის გადაწყვეტის მექანიზმებს.	საფუძვლებს ან არსებით შეცდომებს უშვებს სისხლისსამართლებრივი და საპროცესო მექანიზმების აღწერისას.	თუმცა ცოდნა არასრულია და მატერიალური და საპროცესო სამართლის ურთიერთმიმართებას სრულად ვერ ასახავს.	ი პასუხისმგებლობისა და სისხლის სამართალწარმოების ძირითად მექანიზმებს.	ეტაპებს და სიღრმისეულად აფასებს დანაშაულის კვალიფიკაციის, პასუხისმგებლობისა და საპროცესო გარანტიების ურთიერთმიმართებას.
5. განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების გამოყენებისა და საერთაშორისო სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმებს.	ვერ განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების გამოყენების თავისებურებებსა და საერთაშორისო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ძირითად მექანიზმებს.	განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ცალკეული ნორმებისა და მექანიზმების მოქმედებას, თუმცა ცოდნა არასრულია და ინსტიტუციურ ურთიერთმიმართებას ზედაპირულად ასახავს.	სწორად განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების გამოყენების თავისებურებებსა და კონფლიქტების გადაწყვეტის ძირითად სამართლებრივ და ინსტიტუციურ მექანიზმებს.	სრულად და სისტემურად განმარტავს საერთაშორისო და ევროპული სამართლის ნორმების გამოყენებას და სიღრმისეულად აფასებს ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო მექანიზმების ურთიერთმიმართებას.
6. განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების სახეებს და ადარებს მათი გადაწყვეტის სამართლებრივ მექანიზმებს	ვერ განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების ძირითად სახეებს და ვერ აღწერს მათი გადაწყვეტის შესაბამის მექანიზმებს.	ნაწილობრივ განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების სახეებს, თუმცა მექანიზმების შედარება ზედაპირულია და სამართლებრივი გზის შერჩევა არასაკმარისადაა დასაბუთებული.	სწორად განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების ძირითად სახეებს, ადარებს მათი გადაწყვეტის შესაბამის მექანიზმებს და ძირითადად ასაბუთებს მათ განსხვავებებს.	კომპლექსურად განასხვავებს სამართლებრივი კონფლიქტების სახეებს, კრიტიკულად ადარებს მათი გადაწყვეტის მექანიზმებს და აყალიბებს სრულად დასაბუთებულ სისტემურ ხედვას.

B.1. ამოიცნობს და აანალიზებს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს სამართლებრივად დასაბუთებულ გადაწყვეტის გზებს.

მიღწევის ინდიკატორები სასწავლო კურსების მითითებით

1. ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას, ერთმანეთისგან განასხვავებს სამართლებრივად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ფაქტობრივ გარემოებებს და განსაზღვრავს პრობლემის მოსაწესრიგებლად გამოსაყენებელი სამართლის დარგსა და სამართლებრივ ინსტიტუტს.
(შესავალი სამართალმცოდნეობაში; საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; შესავალი სამოქალაქო სამართალში; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი)
2. აანალიზებს საჯაროსამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების ან გადაწყვეტილების კანონიერებას, ადამიანის უფლებაში ჩარევის საფუძვლებსა და შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს პრობლემის გადაწყვეტის დასაბუთებულ გზებს.
(ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება; ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი)
3. აანალიზებს კერძოსამართლებრივ პრობლემებს, განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, აფასებს მოთხოვნის წარმოშობის, განხორციელებისა და შეწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს მხარის ინტერესების დაცვის დასაბუთებულ გზებს. (შესავალი სამოქალაქო სამართალში; სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სახელშეკრულებო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სამოქალაქო სამართლის პროცესი I; სამოქალაქო სამართლის პროცესი II; საკორპორაციო სამართალი; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი; შრომის სამართალი; კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი)
4. აანალიზებს სისხლისსამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს და შეიმუშავებს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმებზე დაფუძნებულ გადაწყვეტის გზებს. (სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართალი — დანაშაულის სხვა სახეები; სისხლის სამართლის პროცესი I; სისხლის სამართლის პროცესი II; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი)
5. აანალიზებს საერთაშორისო და ევროპული სამართლის სფეროში წარმოშობილ სამართლებრივ პრობლემებს, აფასებს ეროვნული, საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი წყაროებისა და მექანიზმების გამოყენების წინაპირობებს და შეიმუშავებს შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტას. (საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)
6. ამოიცნობს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და ეთიკურ პრობლემებს, აფასებს კონკურენტულ ინტერესებსა და შესაბამის გარემოებებს და შეიმუშავებს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი სტანდარტების შესაბამის გადაწყვეტის გზას. (პროფესიული ეთიკა; საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი)

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები			
	არადამაკმაყოფილებელი (0-50 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (51-70 ქულა)	კარგი (71-90 ქულა)	სრულყოფილი (91-100 ქულა)
1. ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს და განსაზღვრავს შესაბამის სამართლის დარგსა და ინსტიტუტს.	ვერ ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას, ვერ გამოყოფს სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებს და ვერ განსაზღვრავს შესაბამის სამართლის დარგსა და ინსტიტუტს.	ნაწილობრივ ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას და ცალკეულ მნიშვნელოვან ფაქტებს, თუმცა პრობლემის კვალიფიკაცია არასრულია ან შესაბამის სამართლის დარგსა და ინსტიტუტს არაზუსტად განსაზღვრავს.	სწორად ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას, გამოყოფს ძირითად მნიშვნელოვან ფაქტებს და განსაზღვრავს შესაბამის სამართლის დარგსა და სამართლებრივ ინსტიტუტს; უშვებს ცალკეულ არაარსებით ხარვეზს.	ზუსტად და სრულად ამოიცნობს სამართლებრივ პრობლემას, სისტემურად აფასებს ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, გამორიცხავს უმნიშვნელო გარემოებებს და დასაბუთებულად განსაზღვრავს შესაბამის სამართლის დარგსა და ინსტიტუტს.
2. აანალიზებს საჯაროსამართლებრივ პრობლემებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის სამართლებრივად დასაბუთებულ გზებს.	ვერ ამოიცნობს საჯაროსამართლებრივ პრობლემას, ვერ აფასებს ადმინისტრაციული მოქმედების ან უფლებაში ჩარევის კანონიერებას და ვერ აყალიბებს გადაწყვეტის გზას.	ამოიცნობს საჯაროსამართლებრივი პრობლემის ცალკეულ ელემენტებს, თუმცა ფაქტების შეფასება, კანონიერების შემოწმება და შეთავაზებული გადაწყვეტა არასრული ან ნაწილობრივ მცდარია.	სწორად აანალიზებს საჯაროსამართლებრივ პრობლემას, აფასებს ძირითად ფაქტებსა და მოქმედების კანონიერებას და შეიმუშავებს სამართლებრივად დასაბუთებულ გადაწყვეტას.	კომპლექსურად აანალიზებს საჯაროსამართლებრივ პრობლემას, სრულად აფასებს ფაქტებს, კანონიერების, უფლებაში ჩარევისა და პროპორციულობის ყველა შესაბამის საკითხს და აყალიბებს სრულად დასაბუთებულ გადაწყვეტას.

3. აანალიზებს კერძოსამართლებრივ პრობლემებს, განსაზღვრავს მოთხოვნის საფუძველს და შეიმუშავებს მხარის ინტერესების დაცვის გზებს.	ვერ ამოიცნობს კერძოსამართლებრივ პრობლემას, ვერ განსაზღვრავს მოთხოვნის საფუძველს და ვერ აფასებს სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტებს.	ნაწილობრივ ამოიცნობს პრობლემასა და მოთხოვნის შესაძლო საფუძველს, თუმცა ფაქტების შეფასება და მოთხოვნის შემოწმება არასრულია, ხოლო გადაწყვეტა არასაკმარისადაა დასაბუთებული.	სწორად განსაზღვრავს კერძოსამართლებრივ პრობლემასა და მოთხოვნის საფუძველს, აფასებს ძირითად ფაქტობრივ გარემოებებს და აყალიბებს მხარის ინტერესების დაცვის დასაბუთებულ გზას.	სრულად და თანმიმდევრულად ამოწმებს მოთხოვნის საფუძველს, კომპლექსურად აფასებს ფაქტებს, შესაძლო შესაგებლებსა და დაცვის საშუალებებს და შეიმუშავებს ეფექტიან, სრულად დასაბუთებულ გადაწყვეტას.
4. აანალიზებს სისხლისსამართლებრივ პრობლემებს და შეიმუშავებს მატერიალურ და საპროცესო ნორმებზე დაფუძნებულ გადაწყვეტას.	ვერ ამოიცნობს სისხლისსამართლებრივ პრობლემას, ვერ აფასებს კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს და ვერ იყენებს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს.	ნაწილობრივ ამოიცნობს სისხლისსამართლებრივ პრობლემას და შესაბამის ფაქტებს, თუმცა ქმედების კვალიფიკაცია, საპროცესო საკითხების შეფასება ან გადაწყვეტა არასრულია.	სწორად აანალიზებს სისხლისსამართლებრივ პრობლემას, აფასებს ძირითად ფაქტებს, განსაზღვრავს შესაბამის მატერიალურ და საპროცესო საფუძვლებს და აყალიბებს დასაბუთებულ გადაწყვეტას.	კომპლექსურად აანალიზებს სისხლისსამართლებრივ პრობლემას, სრულად აფასებს კვალიფიკაციისა და საპროცესო გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს და აყალიბებს თანმიმდევრულ, სრულად დასაბუთებულ სამართლებრივ პოზიციას.
5. აანალიზებს საერთაშორისო და ევროპული სამართლის პრობლემებს და შეიმუშავებს შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტას.	ვერ ამოიცნობს საერთაშორისო ან ევროპული სამართლის პრობლემას, ვერ განსაზღვრავს გამოსაყენებელ წყაროებსა და მექანიზმებს და ვერ აყალიბებს გადაწყვეტას.	ნაწილობრივ ამოიცნობს პრობლემასა და შესაბამის წყაროებს, თუმცა ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო მექანიზმების ურთიერთმიმართებას არასრულად აფასებს და გადაწყვეტა სათანადოდ არ არის დასაბუთებული.	სწორად აანალიზებს საერთაშორისო ან ევროპული სამართლის პრობლემას, აფასებს გამოსაყენებელი წყაროებისა და მექანიზმების წინაპირობებს და აყალიბებს დასაბუთებულ გადაწყვეტას.	კომპლექსურად აანალიზებს პრობლემას, სრულად აფასებს ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო წყაროებისა და მექანიზმების ურთიერთმიმართებას და შეიმუშავებს სრულად დასაბუთებულ სამართლებრივ გადაწყვეტას.

6. ამოიცნობს პროფესიულ სამართლებრივ და ეთიკურ პრობლემებს და შეიმუშავებს შესაბამის გადაწყვეტას.	ვერ ამოიცნობს პროფესიულ ან ეთიკურ პრობლემას, ვერ აფასებს კონკურენტულ ინტერესებს და ვერ განსაზღვრავს პროფესიული ქცევის შესაბამის გზას.	ამოიცნობს პრობლემის ცალკეულ ეთიკურ ან სამართლებრივ ასპექტებს, თუმცა ინტერესების შეფასება და შეთავაზებული გადაწყვეტა არასრული ან არასაკმარისად დასაბუთებულია.	სწორად ამოიცნობს პროფესიულ და ეთიკურ პრობლემას, აფასებს ძირითად ინტერესებსა და გარემოებებს და აყალიბებს პროფესიული სტანდარტების შესაბამის დასაბუთებულ გადაწყვეტას.	სრულად და კრიტიკულად აანალიზებს პროფესიულ და ეთიკურ პრობლემას, აბალანსებს კონკურენტულ ინტერესებს, ითვალისწინებს ყველა შესაბამის სამართლებრივ და ეთიკურ სტანდარტს და აყალიბებს სრულად დასაბუთებულ გადაწყვეტას.
--	---	--	--	---

B.2. მოიძიებს, არჩევს და აანალიზებს სამართლებრივ ინფორმაციას, მათ შორის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, ეროვნულ და საერთაშორისო წყაროებს, და ეფექტიანად იყენებს მათ სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

მიღწევის ინდიკატორები სასწავლო კურსების მითითებით

1. სამართლებრივი საკითხის შესაბამისად განსაზღვრავს ინფორმაციის საჭიროებას, აყალიბებს ძიების მიმართულებას და მოიძიებს შესაბამის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვა სამართლებრივ წყაროებს.
(აკადემიური წერა; იურიდიული ინგლისური; შესავალი სამართალმცოდნეობაში)
2. არჩევს სამართლებრივი საკითხისათვის სანდო, რელევანტურ და მოქმედ წყაროებს, აფასებს მათ ავტორიტეტულობას, იურიდიულ ძალას, მოქმედების ფარგლებსა და გამოყენების შესაძლებლობას. (აკადემიური წერა; იურიდიული ინგლისური; შესავალი სამართალმცოდნეობაში; პროფესიული ეთიკა)
3. მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს საჯარო სამართლის სფეროს კანონმდებლობას, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ სასამართლო პრაქტიკასა და სხვა შესაბამის წყაროებს საჯარო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას.
(საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; საკონსტიტუციო მართლმსაჯულება; ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი; ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი)
4. მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს კერძო სამართლის სფეროს კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, დოქტრინულ მასალასა და სხვა შესაბამის წყაროებს კერძო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას. (შესავალი სამოქალაქო სამართალში; სანივთო სამართალი; ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი; სახელშეკრულებო სამართალი; კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სამოქალაქო სამართლის პროცესი I; სამოქალაქო სამართლის პროცესი

II; საკორპორაციო სამართალი; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი; შრომის სამართალი; კერძო სამართლის პრაქტიკული კურსი)

5. მოიძიებს, აანალიზებს და იყენებს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკასა და სხვა შესაბამის წყაროებს სისხლის სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას.
(სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი; სისხლის სამართალი — დანაშაულის სხვა სახეები; სისხლის სამართლის პროცესი I; სისხლის სამართლის პროცესი II; სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი)
6. მოიძიებს, არჩევს და აანალიზებს საერთაშორისო და ევროპული სამართლის წყაროებს, საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკასა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებს და იყენებს მათ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას. (საერთაშორისო საჯარო სამართალი; ევროკავშირის სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები)

შეფასების ინდიკატორები	შეფასების დონეები			
	არადამაკმაყოფილებელი (0-50 ქულა)	დამაკმაყოფილებელი (51-70 ქულა)	კარგი (71-90 ქულა)	სრულყოფილი (91-100 ქულა)
